



Tbilisi State University
თსუ



ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“

პრაქტიკული კურსისადმი მოქმედი წესები

§1. პრაქტიკული კურსის არსი

1. სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობის“ სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს პრაქტიკული კურსი როგორც ქვეყნის შიგნით (სახელმწიფო დაწესებულებებში, ან კერძო ორგანიზაციებში, რომლებიც აღჭურვილნი არიან საჯარო ფუნქციებით), ასევე მის ფარგლებს გარეთ (ძირითადად გერმანიაში ან ევროპის ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციებში). თითოეული კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში მაგისტრანტი იღებს 10 კრედიტს (ECTS).
2. პრაქტიკული კურსის ძირითადი მიზანია მაგისტრანტს გამოუმუშავდეს მაგისტრატურაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. ასევე გაეცნოს სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას და მათ მექანიზმს, შეისწავლოს კონკრეტული საკითხის პრაქტიკული განხილვისა და მოგვარების ხერხები.
3. ქვეყნის გარეთ პრაქტიკული საქმიანობა მიმართულია საერთაშორისო გამოცდილების მიღებაზე, რომ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, შეისწავლონ სხვა ქვეყნის საჯარო მმართველობის თავისებურებები, სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა და პრობლემის მოგვარების პრაქტიკული გზები.
4. სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტებმა უნდა გაიარონ პრაქტიკა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში (მაგ.: სამინისტროები, პარლამენტი, მერია და ა.შ) ან საერთაშორისო ორგანიზაციებში, სადაც ისინი ზედამხედველი თანამდებობის პირის კონსულტაციის საფუძველზე ახორციელებენ შესაბამის საქმიანობას.

§2. ხანგრძლივობა

1. პრაქტიკული კურსის ხანგრძლივობა არის 8 კალენდარული კვირა. მაგისტრანტები სრული დატვირთვით ეწევიან პრაქტიკულ საქმიანობას კვირის სამუშაო დღეებში, შაბათ-კვირის გარდა.
2. პრაქტიკული კურსი საქართველოს შესაბამის დაწესებულებებში გათვალისწინებულია პროგრამის მეორე სასწავლო სემესტრის ბოლოს, ხოლო პრაქტიკა საქართველოს ფარგლებს გარეთ გათვალისწინებულია პროგრამის მეოთხე სასწავლო სემესტრისათვის.

§3. პრაქტიკის ადგილი

1. სასწავლო პროგრამის დასაწყისში სტუდენტი იღებს ვალდებულებას, თავად შეარჩიოს და მოიძიოს პრაქტიკის ადგილი, როგორც ნაციონალური, ასევე, საერთაშორისო პრაქტიკის შემთხვევაში. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, დაეხმაროს სტუდენტს პრაქტიკის ადგილის პოვნაში. პრაქტიკის ადგილი სტუდენტს შერჩეული უნდა ჰქონდეს მეორე სასწავლო სემესტრის დასაწყისში, არაუგვიანეს პირველი სასწავლო კალენდარული თვის ბოლო სამუშაო დღემდე.
2. სასურველი პრაქტიკის ადგილის პოვნის შემთხვევაში, სტუდენტი წარუდგენს პროგრამის ადმინისტრაციას აღნიშნულ ინფორმაციას, ხოლო ეს უკანასკნელი ადასტურებს და გაცემს ნებართვას პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით.

§4. პრაქტიკაზე ზედამხედველობა

1. პროგრამის ხელმძღვანელობის მხრიდან პრაქტიკის განხორციელებაზე დასტურის გაცემის შემთხვევაში, იდება ხელშეკრულება უნივერსიტეტსა და იმ ორგანიზაციას შორის სადაც სტუდენტმა უნდა გაიაროს პრაქტიკა.
2. ხელშეკრულებას ხელს აწერს ორივე მხარის წარმომადგენელი, თსუ-ს მხრიდან იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.
3. პრაქტიკის ხარვეზების გარეშე განხორციელების და ორგანიზაციული საკითხების მოგვარების მიზნით, პროგრამის მხრიდან გამოიყოფა პასუხისმგებელი პირი, რომელიც კოორდინირებასა და ზედამხედველობას გაუწევს პრაქტიკების მიმდინარეობას. მათ შორის სტუდენტებთან შეათანხმებს პრაქტიკის შინაარსსა და მიზნებს.

§5. შეფასება

1. პრაქტიკის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტანია. შეფასებას ექვემდებარება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის აქტივობა (მაქს. ქულა - 60) და პრაქტიკის ანგარიში (შესრულება და დაცვა) (მაქს. ქულა - 40).
2. პრაქტიკის ზედამხედველის მხრიდან პრაქტიკის ადგილზე იგზავნება სტუდენტის შეფასების ფორმულარი, სადაც მოცემულია შეფასების კრიტერიუმები:
 - მიზანდასახულობა - 10 (მაქს. ქულა)
 - ოპერატიულობა - 10 (მაქს. ქულა)
 - ინიციატივის გამოვლენა - 10 (მაქს. ქულა)
 - შესასრულებელი სამუშაოს თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე - 15 (მაქს. ქულა)
 - დავალების შესრულების ხარისხი - 15 (მაქს. ქულა)
3. პრაქტიკის ანგარიში:

პრაქტიკის ანგარიშის წარმოდგენა და პრეზენტაცია ხდება როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით. პრაქტიკის ანგარიშის წერილობით ფორმას აფასებს პრაქტიკის ზედამხედველი. ზეპირი პრეზენტაცია ხორციელდება სტუდენტთა ჯგუფის თანდასწრებით კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელობა და პრაქტიკის ზედამხედველი.

4. შეფასების კრიტერიუმები:

- შესავალი - 5 (მაქს. ქულა) (ასახავს პრაქტიკის მიზნებს და სტუდენტის მოტივაციას, კონკრეტული სფეროთი დაინტერესების მიმართ);
- დაწესებულების აღწერა - 3 (მაქს. ქულა) (პრაქტიკის ანგარიში ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის დაწესებულებაზე, საქმიანობის სფეროზე და პროფილზე);
- პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერა-ანალიზი - 15 (მაქს. ქულა) (პრაქტიკის დროს შესრულებული სამუშაოს და შესწავლილი საკითხების შესაბამისობა პრაქტიკის მიზნებთან; პრაქტიკის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს კრიტიკული ანალიზის და შეფასებების ადეკვატურობა და ობიექტურობა; შესრულებული სამუშაოს და მიღწეული შედეგების აღწერა და შესაბამისი მაგალითების მოყვანა; შესრულებული სამუშაოს და შესწავლილი საკითხების მეშვეობით განვითარებული კონკრეტული უნარების ჩამოთვლა და აღწერა, წარმატებული პრაქტიკული საქმიანობისთვის მათი მნიშვნელობის ადეკვატური შეფასება);
- დასკვნა - 5 (მაქს. ქულა) (დასკვნა არგუმენტირებულად და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული; წარმოადგენს პრაქტიკის შედეგების არგუმენტირებულ შეჯამებას);
- დანართი -2 (მაქს. ქულა) (რელევანტურია და შეესაბამება პრაქტიკის ანგარიშის შინაარსს, ხელს უწყობს ანგარიშში აღწერილი ფაქტების დასაბუთებას და ილუსტრირებას);
- პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია - 10 (მაქს. ქულა) (სტუდენტს შეუძლია ანგარიშის წარდგენა, შესრულებულ სამუშაოზე თავისუფლად და დამაჯერებლად საუბარი, პრაქტიკის შედეგების განზოგადება, მოსაზრებების არგუმენტირება და დაცვა, ცოდნისა და უნარების წარმოჩენა).

5. შეფასების სისტემა

ა) დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%

ბ) უარყოფითი შეფასება:

- (FX) ვერ დაიცვა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს პრაქტიკის ანგარიშის დასაცავად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას პრაქტიკა ახლიდან აქვს გასავლელი.

§6. გამონაკლისი წესი

1. შესაძლოა პრაქტიკაზე არ გაიგზავნონ შესაბამისი პროფილით საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებული მაგისტრანტები.
2. ამ შემთხვევაში წარმოადგენილი უნდა იყოს ცნობა სამუშაო ადგილიდან (საქმიანობის აღწერილობით), უშუალო უფროსის მიერ გაცემული დახასიათება და ზემოაღნიშნულ კომპონენტებში (§6 პუნქტი 2) შეფასება 60 ქულის ფარგლებში, დამოწმებული ხელმოწერითა და შესაბამისი ბეჭდით(ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. ანგარიშის პრეზენტაცია ხდება დადგენილი წესის შესაბამისად (§6 პუნქტი 3).
4. საზღვარგარეთ პრაქტიკაზე არ გაიგზავნებიან ის სტუდენტები, რომლებსაც წინა სემესტრების მიხედვით ხელახლა გასავლელი აქვთ ორი ან მეტი საგანი, ან რომლებსაც შეჩერებული ჰქონდათ სტუდენტის სტატუსი, მანამ სანამ არ დააგროვებენ კრედიტების საჭირო რაოდენობას, ანუ არ ჩააბარებენ ყველა წინამდებარე გამოცდას.

§7. გარდამავალი დებულებები

ზემოაღნიშნული წესების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს პროგრამის ხელმძღვანელობის სათათბირო ორგანო, რომლებიც წარედგინება იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად/ გასაუქმებლად/ ცვლილებისათვის, რაც შემდგომ ეგზავნება თსუ-ს აკადემიურ საბჭოს და ძალაში შედის ამ უკანასკნელის მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

ი.ბურდული